



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიორგიძე ეთერ გიორგის ასული

გიორგიძე ეთერ გიორგის ასული (14. V. 1919, თბილისი, – 27. VII. 2009, იქვე), ინჟინერ-მექანიკოსი. პროფესორი (1972), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1976).

1941 დაამთავრა საქართვე. ინდუსტრ. ინ-ტის მექანიკის ფაკ-ტი. 1941–43 მუშაობდა ბაჰესში. 1945-იდან სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას ეწეოდა საქართვე. პოლიტექ. ინ-ტში (ახლანდ. ტექნიკური უნ-ტი) ლითონთმცოდნეობისა და ლითონთა ტექნოლოგიის კათედრაზე. 1984–2005 იყო იმავე კათედრის კონსულტანტი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თბზ.: ლითონთმცოდნეობა, თბ., 1968; ლითონთა ტექნოლოგია, თბ., 1973 (თანაავტ. ი. ჯანელიძე); მასალათმცოდნეობა, თბ., 1984.
